პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1977 სამშაბათი 21 ივნისი № 144 (16884) ფასი 2 კაპ. 1977

19 ივნისს საბჭოთა ხალხმა ერთხმოვნად აირჩია ადგილობრივი საბჭოების დეპუტატები.

არჩევნებმა მშრომელთა დიდი პოლიტიკური აქტივობის ვითარებაში ჩაიარა, ერთხელ კიდევ ცხადყო კომუნისტური პარტიის გარშემო მშრომელთა მტკიცე დარაზმულობა.

ხალხის აზრით, საერთო ძალღონით

ბანსაკუთრებული შინაარსით არის აღსავსე მეათე ხუთწლედის ეს მეორე წელი — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის საიუბილეო, მესამოცე წელი. ამ სახელოვანი იუბილეს ღირსეული შეხვედრისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებას კიდევ უფრო მეტ გაჩინებას აძლევს ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციის პროექტის ის საყოველთაო-სახალხო განხილვა, რაც უკვე ორ კვირაზე მეტია დაიწყო და დღითი დღე სულ უფრო ფართოვდება.

საქართველოს მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად გულმხურვალედ იწონებენ ჩვენი საშობლოს, ჩვენი ხალხის ცხოვრების ძირითადი კანონის პროექტს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებს და ერთსულოვნად აცხადებენ, რომ ცოდნას, ენერგიასა და ნიჭს არ დაიშურებენ მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული, ჭეშმარიტად სახალხო სახელმწიფოს შემდგომი ძლიერებისა და აყვავებისათვის.

სწორედ ამ დღეებში, კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის დაწყების დღეებში, გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც უდიდესი ინტერესითა და ყურადღებით განიხილა საკითხი: „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის პროექტი და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის მაისის პლენუმზე გაკეთებულ მოხსენებასთან დაკავშირებით“.

პლენუმის მიზანი, მისი მთავარი აზრი, სულისკვეთება ის არის, თუ როგორ მოეწყოს უკეთ და უფრო შინაარსიანად საბჭოთა ქვეყნის ახალი კონსტიტუციის პროექტის მაქსიმალურად ფართო, თავისუფალი და საქმიანი განხილვა, ამ მსოფლიო მნიშვნელობის ისტორიული დოკუმენტისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების ღრმა, საფუძვლიანი შეხწავლა, კიდევ უფრო როგორ გავაქტიუროთ მშრომელთა შემოქმედება და წარმართოთ იგი ჩვენი პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

სწორედ შემოქმედებითი ინიციატივის შემდგომი განვითარებისათვის, თითოეული მუშაკის პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის ზრუნვა გახდეს წითელ ზოლად ამ ინფორმაციებსაც, რომლებიც პლენუმმა მოისმინა. კერძოდ: „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობა და რესპუბლიკაში წლის პირველი ნახევრის წარმატებით დამთავრების ამოცანები“; „მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდების დამატებითი რეზერვების ძიებისათვის ცენტრალური კომიტეტის წევრების ხელმძღვანელობით შექმნილი კომისიების მიერ გაწეული მუშაობის შედეგები“; „საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილების შესაბამისად კადრების შერჩევის, გაწაწილებისა და აღზრდის საქმეში ზოგიერთი პარტიული კომიტეტის მუშაობის პრაქტიკის შესახებ“ და „სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვასთან დაკავშირებით შრომელთა წერილებზე, განცხადებებსა და სარჩრებზე პარტიული კომიტეტების მუშაობის ხაკითხები“.

ჩვენი ცხოვრების კანონია: ყველას ზრუნვა თითოეულის კეთილდღეობისათვის და თითოეულის ზრუნვა ყველას კეთილდღეობისათვის. ეი რაკმ არის, რომ კონსტიტუციის პროექტი გულისხმობს საბჭოთა ადამიანების მაღალ დისციპლინასა და ორგანიზებულობას, საზოგადოების წინაშე მოვალეობათა განუხრელ შესრულებას.

ბვალ ერთი წელი სრულდება, რაც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ჩვენი რესპუბლიკის კომუნისტებისათვის, ყველა შრომელებისათვის მეშმარიტად საეტაპო დადგენილება — საქართველოს კომპარტიის ბოლო წლების საქმიანობის თაობაზე. მასში მეცნიერულად, ყოველმხრივ, ღრმად და ლაკონიურად არის შეჯამებული ის ნამდვილად ტიტანური მუშაობა, რომელიც საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ ცნობილი დადგენილების შესასრულებლად გასწია. რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში კვლავ ღრმა პროცესები მიმდინარეობს, კვლავ შემატევი პრინციპული ბრძოლაა გაჩაღებული ყოველგვარი ნეგატიური მოვლენის წინააღმდეგ. ღღეს, როგორც არაადრეს, პირველ პლანზე წამოყენებულია ჩვენი გეგმების, ნაკლისი ვალდებულებების იდეოლოგიური უზრუნველყოფა.

ვინ მოთვლის ამ კონკრეტულ მაგალითებს, როცა სწორედ ადამიანთა დიდი შეგნების, ორგანიზებულობისა და დისციპლინის შედეგად ცხოვრების ურთულესი პრობლემებიც კი წარმატებით წყდება, როცა თვალნათლივ ჩანს საქმისადმი ჭეშმარიტი მოვალეობის გრძნობით მიდგომის ნაყოფი.

პლენუმზე ამ მხრივ ბევრი შრომითი კოლექტივი დაასახელეს. თბილისის პირველი მაისის რაიონის, და ქალაქ ქუთაისის კომუნისტთა მუშაობამ დევიზით: არ მყავდეთ არც ერთი ჩამორჩენილი საწარმო, თანაბი კეთილი და ხასიხრულო შედეგები მოიტანა. ამა, დავუკვირდეთ, რა ნათელი სურათი: თუ შარშან ხუთი თვის მაჩვენებლებით რესპუბლიკაში 106 სამრეწველო საწარმო ჩამორჩებოდა, წლეულს შესაბამისი პერიოდისათვის ეგეგმება მხოლოდ 11-მა საწარმომ ვერ შეასრულა. ეს სასრულაკი, მრეწველობის მუშაკებმა უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის ხუთი თვის დავალებები რამდენიმე დღით ადრე გაანაღდეს. ბევრი ქარხნის, ფაბრიკის, მშენებლობის კოლექტივმა სამშობლოს უკვე ნახევარი წლის ეგეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებაც უპატაკა.

წარმატებით დაიწყო და მიმდინარეობს ხაზაფხულო სახოფლო-სამეურნეო სამუშაოები. იკრიფება ოქტომბრის საიუბილეო წლის მოსავლის ჩაის ფოთოლი, ილიწება მარცვლეული, მზადდება ბოსტნეული, ხილი, შრომა გააქტიურეს მეცხოველეებმა.

მაგრამ, სამწუხაროდ, მათ გვერდით ჯერ კიდევ არიან ასეთები, რომლებსაც ღრმად არა აქვთ შეგნებული მოქალაქეობრივი მოვალეობა, ინიციატივას, საქმის სიყვარულს არ იჩენენ მუშაობაში. აი რატომ არის, რომ ზოგ ქალაქში, რაიონსა თუ სოფელში მაინც გვხვდება ჩამორჩენილი საწარმო, კოლმეურნეობა, შენებლობა, ბრიგადა, უბანი თუ რგოლი, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა თუ სავაჭრო ობიექტი.

როგორც პროდუქციის წარმოების, ისე რეალიზაციის 5 თვის ეგეგმები ვერ შეასრულეს გორის სახლთსაშენებელმა, გულრიფშის რაიონის ბაბუშერის ხე-ტყის დამამუშავებელმა, მადნეულის სამთო გამამდიდრებელმა კომბინატებმა, საგარეჯოს საშენ მასალათა, რუსთავის ლითონკონსტრუქციების ქარხნებმა და სხვა საწარმოებმა.

ნუთუ პარტიის საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა ვერ უნდა განახორციელონ საგანგებო, რომ იტყვიან, ისეთი ეფექტიანი და გადამწყვეტი ღონისძიებანი, რომ ეს ობიექტებიც გამართულად მუშაობდნენ?!

საქართველოს მრეწველობის მუშაკთა ვალდებულებაა, რომ წლეულს სამრეწველო პროდუქციის მთლიანი მოცულობა 7,1 პროცენტით გაზარდონ. სოფლის მშრომელებმა იკისრეს სახელმწიფოს მიჰყიდონ 150 ათასი ტონა მარცვლეული, 360 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი, 140 ათასი ტონა ხორცი, 345 ათასი ტონა ხილი, 130 ათასი ტონა ციტრუსები, ნახევარი მილიონი ტონა ყურძენი, დიდძალი სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

ამიტომ სწორად იქცევიან იქ, სადაც პროექტის განხილვა ორგანულად არის შეხამებული შრომითი კოლექტივების კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტისათვის ზრუნვასთან, მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფასთან, დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისთვის სოციალისტური შეჯიბრების შემდგომ განვითარებასთან.

შეხანიშნავი ლენინური ტრადიციაა, რომ ყოველ დიდმნიშვნელოვან პარტიულ და სახელმწიფოებრივ დოკუმენტში სრულად აისახოს მშრომელთა კოლექტიური სიბრძნე. და აი, ახლაც კონსტიტუციის პროექტის ფართო საჯარო განხილვა ნიშნავს, რომ ახალი კონსტიტუციის ავტორი მთელი საბჭოთა ხალხი იქნება.

იმ მიზნით, რომ საქართველოს კომუნისტებმა, ფართო მასებმა მეტი წვლილი შეიტანონ „სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულებაში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეექვსე პლენუმმა მიიღო ორგანიზაციულ და პოლიტიკურ ღონისძიებათა კონკრეტული გეგმა განხილვის მთელი პერიოდისათვის.

ამოცანა ის არის, რომ ამ მხრივ თავიანთი პრაქტიკული მუშაობის გეგმები მქონდეთ აგრეთვე პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, პირველად პარტიულ ორგანიზაციებს, ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს.

ჩვენს ქალაქებსა და სოფლებში ახალი კონსტიტუციის პროექტის შესახებ იკითხება ლექციები, იმართება საუბრები. ზოგან ნეოელ ქუთხეებში, აგიტპუნქტებში შემოღებულია სპეციალური რვეულები მშრომელთა შენიშვნების, სურვილებისა და წინადადებებისათვის. კულტურის სახლებში, კლუბებში, ბიბლიოთეკებში ეწყობა სპეციალური სტენდები, რომლებიც ასახავენ სოციალისტური დემოკრატიის უპირატესობას, საბჭოური ცხოვრების წესს, იმ ღრმა და სახიხრულო ცვლილებებს, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში მოხდა ამ ბოლო წლების მანძილზე.

ამგვარად მიმდინარეობს პარტიული კომიტეტების პლენუმები და პარტიული აქტივის კრებები. გაიმართება აგრეთვე პირველადი პარტიული ორგანიზაციების ღია კრებები. კონსტიტუციის პროექტის განხილვასთან დაკავშირებით ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მთავარ მიმართულებებს რომ განსაზღვრავენ, კომუნისტებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის მიღწევათა ყოველმხრივ, კიდევ უფრო შინაარსიან პროპაგანდას, უპირველეს ყოვლისა იმას, რომ ცხადად გამოჩნდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, როგორც ჩვენი საზოგადოების ხელმძღვანელის, როლი, მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი ზრდა. საამისოდ პროპაგანდისტული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის სხვა ხაშუალებებთან ერთად უნარისანად უნდა გამოიყენონ თეორიული კონფერენციები, თემატიკური და კითხვა-პასუხის საღამოები, ზეპირი ჟურნალები... კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვასთან დაკავშირებით საჭირო მუშაობაში აქტიურად უნდა ჩაებან რესპუბლიკის პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული, სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები, მეცნიერები, შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, ფართო პროპაგანდისტული აქტივი.

მისასალმებელია, რომ ზოგან პირველადი პარტიული ორგანიზაციები კონსტიტუციის პროექტის საფუძველისა შესწავლის მიზნით შეუდგნენ მოკლევადიანი სპეციალური სკოლების შექმნას. უახლოეს ხანში ასეთი სკოლები, წრეები ან სემინარები ხსგაგანაც უნდა გაიხსნას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეექვსე პლენუმის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა ის არის, რომ მთელმა ორგანიზატორულმა და მასობრივ-პოლიტიკურმა მუშაობამ კიდევ უფრო გაზარდოს ადამიანთა პასუხისმგებლობა მინდობილი უბნებისათვის, თავისი უფლება-მოვალეობის კეთილსინდისიერი შესრულებისათვის, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობა, მიღწეულით დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, ყოველგვარი დამაბინძველის, ანტისაზოგადოებრივი მოვლენის წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლა კვლავაც ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების, მოქმედების წესი უნდა იყოს.

კვირას, 19 ივნისს, საქართველოს მშრომელებმა, ისევე, როგორც თოელმა საბჭოთა ხალხმა, გამოხატეს ერთიანი ნება და ადგილობრივი საბჭოების ორგანოებში თავიანთი წარმომადგენლები აირჩიეს. ამ არჩევნებმა ერთხელ კიდევ ცხადყო საბჭოთა ადამიანის — ჭეკუნის ნამდვილი ბატონ-პატრონის ერთსულოვნება, დიდი მოქალაქეობრივი აქტივობა.

დაე, ეს მოქალაქეობრივი აქტივობა კიდევ უფრო, მთელი ძალით გამოჩნდეს ახალი კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის მთელ პერიოდში!

ოფიციალური ვიზიტით საფრანგეთში

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი საფრანგეთს გაემგზავრა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიწვევით 20 ივნისს მოსკოვიდან ოფიციალური ვიზიტით საფრანგეთში გაემგზავრა.

ლ. ი. ბრეჟნევს გაჰყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სამოქალაქო ავიაციის მინისტრი ბ. პ. ბუგაევი, საგარეო ვაჭრობის მინისტრი ნ. ს. პატოლიჩევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწენი ა. მ. ალექსანდროვი, ა. ი. ბლატოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგის პირველი მოადგილე ვ. ვ. ზაგლადინი, საკადესის გენერალური დირექტორი ლ. მ. ზამიატინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. გ. კოვალოვი.

სსრ კავშირის ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი გაამეცილეს ამხანაგებმა ი. ვ. ანდროპოვმა, ვ. ვ. გრიშინმა, ა. პ. კირილენკომ, ა. ნ. კოსიგინმა, კ. ტ. მაზუროვმა, ა. ი. პელშემ, მ. ა. სუსლოვმა, დ. თ. უსტინოვმა, ბ. ნ. პონომარიოვმა, ი. ვ. კაპიტონოვმა, ვ. ი. დოლგიხმა, კ. უ. ჩერნენკომ, ი. პ. რაბინოვმა, კ. ვ. რუსაკოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრებმა ვ. ვ. კუზნეცოვმა, ს. ბ. ნიაზბეკოვმა, გ. ს. პაპლოვმა, ნ. მ. პეგოვმა, ე. პ. რუბენმა, ვ. ე. ციუკანოვმა, ა. პ. შტეკოვმა, ნ. ა. შჩოლოკოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატებმა მ. პ. გიორგაძემ, ს. კ. ცვიგუნმა, გ. კ. ცინევამ, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრებმა კ. მ. ბოგოლიუბოვმა, ი. ბ. ჩურბანოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწემ ვ. ა. გოლიკოვმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამდივნოს უფროსმა ვ. ი. ვასილიევმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

გამცილებელთა შორის იყო საფრანგეთის დიპლომატიური კორპუსის წევრები.

ლ. ი. ბრეჟნევი საფრანგეთში ჩავიდა

პარიზი, 20 ივნისი (საკადესის სპეც. კორ.). დღეს აქ საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ვ. ჟისკარ დესტენის მოწვევით ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი.

ლ. ი. ბრეჟნევს ჩამოჰყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სამოქალაქო ავიაციის მინისტრი ბ. პ. ბუგაევი, საგარეო ვაჭრობის მინისტრი ნ. ს. პატოლიჩევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწენი ა. მ. ალექსანდროვი და ა. ი. ბლატოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგის პირველი მოადგილე ვ. ვ. ზაგლადინი, საკადესის გენერალური დირექტორი ლ. მ. ზამიატინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. გ. კოვალოვი.

ორლის აეროპორტში სსრ კავშირისა და საფრანგეთის სახელმწიფო ალმებით არის მორთული. ცაში გამოჩნდა საბჭოთა ავიალაინერი „ილ-62“. საფრანგეთის საზღვრიდან მას საფრანგეთის საბჭოდრო-საჰაერო ძალების ავიაგამანადგურებლების საპატიო ესკორტი მოაცილებს. 12 საათსა და 30 წუთზე ადგილობრივი დროით საეციალური თვითმფრინავი აეროდრომზე დაჯდა.

თვითმფრინავის კიბესთან ლ. ი. ბრეჟნევს გულთბილად და გულითადად მიესალმა საფრანგეთის პრეზიდენტი ვ. ჟისკარ დესტენი. ლ. ი. ბრეჟნევსა და მასთან ერთად ჩამოსულ ოფიციალურ პირებს დახვდნენ აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი საფრანგეთში ს. ვ. ჩერვონენკო და საფრანგეთის ელჩი სსრ კავშირში ბ. დელესი.

ლ. ი. ბრეჟნევს შეხვედრისას უმაღლესი მხედრული პატივი მიაგეს. საზეიმოდ ჟღერს, საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები. აეროდრომზე ჩამწკრივებულიყო სამი სახეობის შეიარაღებული ძალების საპატიო ყარაული, მწყობრად იდგნენ აგრეთვე ავიაპოლკ „ნორმანდია-ნიმანის“ 7 ავიაგამანადგურებლის ეკიპაჟები. ეს პოლკი საბჭოთა სამხედროსაჰაერო ჩვეულებაყოფიერთან ერთად იბრძოდა დიდი სამამულო ომის წლებში და გმირობისათვის მიღებული აქვს საფრანგეთის უმაღლესი ჯილდოები, საბჭოთა კავშირის საბრძოლო ჯილდოები — წითელი დროშისა და ალექსანდრე ნევსკის ორდენები.

ლ. ი. ბრეჟნევმა და ვ. ჟისკარ დესტენმა საპატიო ყარაულის მწყობრს ჩამოუარეს და საპატიო სტუმრების სალონში გაემართნენ. ბაქშევმა ლ. ი. ბრეჟნევისა და ვ. ჟისკარ დესტენს წითელი ვარდის თაიგულები მიართვეს. აქ ლ. ი. ბრეჟნევს წარუდგინეს საფრანგეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი რ. ბარი, სენატის თავმჯდომარე ა. პოეერი, ეროვნული კრების თავმჯდომარე ე. ფორი, საგარეო საქმეთა მინისტრი ლ. დე გირენგო, საფრანგეთის მთავრობის წევრები და სხვა ოფიციალური პირნი. საფრანგეთის პრეზიდენტს ი. წარუდგინეს ლ. ი. ბრეჟნევის თანმხლები საბჭოთა ოფიციალური პირნი, აგრეთვე სსრ კავშირის საელჩოს თანამშრომლები.

საფრანგეთის პრეზიდენტი მიკროფონთან მივიდა და მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა:

ბატონო თავმჯდომარეო, თქვენი ვიზიტი საფრანგეთში საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ხელმძღვანელთა უმაღლესი დონის შეხვედრების ტრადიციებს შეესაბამება. თქვენ ჩამობრძანდით რამდენიმე დღეში მას შემდეგ, რაც თქვენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ აგირჩიეს. ამტომ შეგეგებეთ ისეთი პატივით, როგორიც შეეფერის თქვენს მაღალ პოსტს, უკადეგანო და მძლავრი საბჭოთა კავშირის სათავეში რომ დგიკავთ. ჩვენ ვხედავთ ისეთ მომენტში, როცა მსოფლიოს წინაშე დგას სერიოზული პრობლემები: დაძაბულობის შენელების პოლიტიკის განგრძობა, ატომური იარაღის გავრცელების საფრთხე, იარაღის მარაგის ზრდა და დაძაბულობის კერების შენარჩუნება მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში. თქვენ რომ გმასპინძლობთ, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ საფრანგეთი დაძაბულობის შენელების პოლიტიკის ერთგულია. სამე ეხება ჩვენს შეგნებულ და ხანგრძლივი დროისათვის გათვალისწინებულ არჩევანს. ცხადია, ჩვენ არ უარვყოფთ არც ჩვენი კონცეფციების განსხვავებულ და არც ჩვენ-ჩვენი პრინციპებისადმი ერთგულებას.

რა თქმა უნდა, ყოველი ჩვენგანი პასუხს აგებს თავისი ქვეყნის უშიშროებისათვის, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ დაძაბულობის შენელების ერთადერთი ალტერნატივა ჩვენი ხალხების შეტაკება და გაჟღენტა. დღეს დაძაბულობის შენელება მშვიდობისა და ხალხთა დაახლოებისათვის ჯახსნილი ერთადერთი გზაა. მინდა ვთქვა აგრეთვე, ბატონო თავმჯდომარეო, რომ ჩვენი შეხვედრების შემდეგ კარგად ვიცი, თუ რა ერთგული ბრძანდებით პირადად თქვენ დაძაბულობის შენელების საქმისა და რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ მას საბჭოთა კავშირის პოლიტიკის განსაზღვრაში. საფრანგეთი და საბჭოთა კავშირი ევროპის ერთადერთი ქვეყნები ბრძანდნენ, რომლებსაც შუაღლეით დაძაბულობის შენელებას მისი ნამდვილი ხასიათი მიანიჭონ.

ჩვენ ვიმსჯელებთ აგრეთვე ეკონომიკურ, მეცნიერულ და კულტურულ თანამშრომლობაზე, რომელიც ჩვენს ქვეყნებს შორის ვითარდება. მჯერა, რომ შეგვიძლია ახალი ინიციატივა ავიღოთ ამ თანამშრომლობის ამ თანამშრომლობის. კეთილი იყოს თქვენი ჩამობრძანება, ბატონო თავმჯდომარეო, საფრანგეთის, ამ უძველესი და ამასთანავე თანამედროვე ქვეყნის მიწა-წყალზე, რომელიც დიდი ხანია იცნობს თქვენს ქვეყანას და ამიერ აქვს, რომ ჩვენ ერთად ვიმეშვიდეთ მშვიდობის საკეთილდღეოდ. მშვიდობასა და აყვავებას ვუსურვებ საბჭოთა კავშირს!

სასასუხო სიტყვა წარმოთქვა ლ. ი. ბრეჟნევმა:

ბატონო პრეზიდენტო!

პატივცემულო მეგობრებო!

გულითადად მადლობას მოგახსენებთ კეთილი სიტყვებისათვის, ამ გულთბილი შეხვედრისათვის. ჩვენ დიდად გვეამა ასეთი მეგობრული გრძნობები ჩვენი ქვეყნისადმი, საბჭოთა ხალხისადმი.

მახარებს ეს ახალი შეხვედრა პარიზთან. ყოველთვის სასიამოვნოა ხელადვე თქვენს მშვენიერ დედაქალაქს, ხვდებოდე შესანიშნავი ფრანგი ხალხის წარმომადგენლებს. ეს მით უფრო სასიამოვნოა, რომ ვიცი, რომ მოგვიდლის მუშაობა, რომელიც, დარწმუნებული ვარ, სასარგებლო იქნება ჩვენი ქვეყნების მეგობრობის შემდგომი განვითარებისა და საყოველთაო მშვიდობის დამკვიდრებისათვის.

სწორედ ასეთი განწყობილებით ჩამოვედიდით და ასე ვუდგებით საუბრებს, რომლებიც თქვენთან, ბატონო პრეზიდენტო, და საფრანგეთის რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელ მოღვაწეებთან გვექნება.

უკვე აი წელზე მიტია საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთობა ვითარდება, მე ვიტყოდი, ალმაცალი ხაზით, და საფუძურსაფუძურ, სულ უფრო მაღლა მიიწევს. ყოველი ასეთი საფუძური კი სულ უფრო ფართო და ნათელ ჰორიზონტებს გვისახავს.

ეს ორის მშვიდობის, ურთიერთპატივისცემისა და კარგი თანამშრომლობის ჰორიზონტები.

მაშ ერთად ვიაროთ ამ მიმართულებით — ჩვენი თანამედროვეებისა და ჩვენი შთამომავლების საკეთილდღეოდ.

კიდევ ერთხელ გმადლობთ გულითადი მიღებისათვის და კეთილდღეობას და ბედნიერებას ვუსურვებ ყველა ფრანგს.

სპატიო სბჭოთა სტუმარი და საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ოტომანქანაში ჩასხდნენ და მოტოციკლისტთა სპატიო ესკორტით გაემართნენ ქალაქგარეთ, რამბუიეს რეზიდენციაში. პარიზი უაღრესად გულთბილად შეხვდა საბჭოთა ხელმძღვანელს — ჩვენს ქვეყანასთან საფრანგეთს ხომ დიდი მეგობრობა და თანამშრომლობა აკავშირებს, რომელიც წლითიწლობით სულ უფრო მტკიცდება. ორლის აეროპორტიდან რამბუიეში მიმავალ ლ. ი. ბრეჟნევს გზაში გულთბილად მიესალმებოდნენ საფრანგეთის მცხოვრებნი.

რამბუიეში ლ. ი. ბრეჟნევს მხედრული პატივი მიაგო რესპუბლიკური გვარდიის ქვეგანყოფამ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის რეზიდენციის თავზე საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმი აფრიალდა.

ა. ბარანოვი,
ო. შიროკოვი.

სურათზე: ორლის აეროდრომზე შეხვედრის დროს. ხაკადეს-ხაკინფორმის ტელეფოტო.

ხალხის ინტერესებისათვის

20 ივნისს გაიმართა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს არჩევნების თბილისის საქალაქო საარჩევნო კომისიის დასკვნითი სხდომა.

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მუშამ, სოციალისტური შრომის გმირმა ვ. ასათიანმა. მან აღნიშნა, რომ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს არჩევნებმა ჩაიარა ორგანიზებულად, კვლავ ცხადყო თბილისის მშრომელთა უსაზღვრო ერთგულება მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი, მათი მიმართვაში ჩვენი ერისეული წვლილი შეიტანონ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში, დამკვრელური შრომით უპასუხონ პარტიას და მთავრობის ზრუნვას ქვეყნად მშვიდობის განმტკიცებისათვის, მშრომელი ადამიანებს კეთილდღეობისათვის.

პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ახალი აღმავლობა გამოიწვიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევის.

ლ. ი. ბრეჟნევს ჩამოჰყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სამოქალაქო ავიაციის მინისტრი ბ. პ. ბუგაევი, საგარეო ვაჭრობის მინისტრი ნ. ს. პატოლიჩევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწენი ა. მ. ალექსანდროვი და ა. ი. ბლატოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგის პირველი მოადგილე ვ. ვ. ზაგლადინი, საკადესის გენერალური დირექტორი ლ. მ. ზამიატინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. გ. კოვალოვი.

სსრ კავშირის ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი გაამეცილეს ამხანაგებმა ი. ვ. ანდროპოვმა, ვ. ვ. გრიშინმა, ა. პ. კირილენკომ, ა. ნ. კოსიგინმა, კ. ტ. მაზუროვმა, ა. ი. პელშემ, მ. ა. სუსლოვმა, დ. თ. უსტინოვმა, ბ. ნ. პონომარიოვმა, ი. ვ. კაპიტონოვმა, ვ. ი. დოლგიხმა, კ. უ. ჩერნენკომ, ი. პ. რაბინოვმა, კ. ვ. რუსაკოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრებმა ვ. ვ. კუზნეცოვმა, ს. ბ. ნიაზბეკოვმა, გ. ს. პაპლოვმა, ნ. მ. პეგოვმა, ე. პ. რუბენმა, ვ. ე. ციუკანოვმა, ა. პ. შტეკოვმა, ნ. ა. შჩოლოკოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატებმა მ. პ. გიორგაძემ, ს. კ. ცვიგუნმა, გ. კ. ცინევამ, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრებმა კ. მ. ბოგოლიუბოვმა, ი. ბ. ჩურბანოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწემ ვ. ა. გოლიკოვმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამდივნოს უფროსმა ვ. ი. ვასილიევმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

გამცილებელთა შორის იყო საფრანგეთის დიპლომატიური კორპუსის წევრებმა კ. მ. ბოგოლიუბოვმა, ი. ბ. ჩურბანოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწემ ვ. ა. გოლიკოვმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამდივნოს უფროსმა ვ. ი. ვასილიევმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

საბჭოთა დელეგაცია ვარშავას გაემგზავრა

20 ივნისს მოსკოვიდან ვარშავას გაემგზავრა საბჭოთა დელეგაცია, რომელსაც სათავეში უდგას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, დელეგაცია მონაწილეობას მიიღებს ეკონომიკური ურთიერთდ

ხმას აძლევს საქართველო

ხალხის ხელისუფლების დღესასწაული

19 ივნისს — საარჩევნო უბანში

თბილისის ლენინის რაიონის № 4 საარჩევნო უბანი. სურათზე: ხმას აძლევენ (მარცხნიდან) — თბილისის ფოლადფუსმსხმელი ქარხნის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გ. კურტანიძე, ავჭალის ლენინის სახელობის შუშის ქარხნის ხარატი ბ. ბრატიკოვსკი, ამავე ქარხნის ქიმიკოსი ლ. ჯელაშვილი, თბილისის ფოლადფუსმსხმელი ქარხნის მემოდელე, სოციალისტური შრომის გმირი ვ. ბოროდავკა.

ვლ. გინზბურგის ფოტო.

პარტიისა და ხალხის მძლავრი ერთიანობის ჭეშმარიტ დემონსტრაციად გადაიქცა 19 ივნისს ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღე. როგორც მოელ ჩვენს ქვეყანაში, ისე საქართველოში არჩევნებმა კვლავ ცხადყო მილიონობით მშრომელის, მშობლიური ქვეყნის ნამდვილი ბატონ-პატრონის პატრიოტული ერთსულოვნება, მაღალი მოქალაქეობრივი აქტიურობა, დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა, რაც გამოწვეულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებებით, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტით. მოელი ხალხის ერთიანი ნება, რომელიც ასე მკაფიოდ გამოვლინდა ადგილობრივი საბჭოების არჩევნებში, ახალ-ახალი გამარჯვებების, პარტიის წინასწარდასახულობათა წარმატებით შესრულების საწინდარია.

ქვემოთ ვბეჭდავთ არჩევნების შესახებ რეპორტაჟებს, რომლებიც ჩვენმა კორესპონდენტებმა მოგვაწოდეს.

თბილისი

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად თბილისელი მშრომელები კანონიერი სიამაყით, დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში შეეგებნენ ადგილობრივი საბჭოების არჩევნებს. ეს გამოწვეულია აგრეთვე სასიხარულო ამბებით, ცხოვრებას ყოველდღე რომ მოაქვს. ახლა ყველგან განიხილავენ და სწავლობენ მაისის პლენუმის მასალებს, მთლიანად იწონებენ ახალი კონსტიტუციის პროექტს.

ეს სასიხარულო ამბები ნათლად ემჩნეოდა მილიონიანი დედაქალაქის ამომრჩეველთა გუნება-განწყობილებას. ისინი დილადღრიან დაიძრნენ საარჩევნო უბნებისაკენ, რათა მოეხადათ მოქალაქეობრივი ვალი — ხმა მიეცათ თავიანთი რჩეულებისათვის.

ეს ყოფილი ნაძალადევი, დედაქალაქის ულიელესი მეშათა უბანი, საბჭოთა ხელისუფლების წლებში ერად ინდუსტრიულ ცენტრად რომ იქცა, ამ რაიონის რეკონსტრუქციური და შრომითი ტრადიციებით აღზრდილი მშრომელები ახალ-ახალი გამარჯვებებით ხვდებიან დიდ მოელენებს და ახლაც ენერგიულად ემზადებიან დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის შესახვედრად.

73-ე საარჩევნო უბანი. იგი თბილისის ერთ-ერთი უძველესი საწარმოს — სტალინის სახელობის ელექტროგადამსვლელთა ქარხნის კულტურის სახლშია მოთავსებული. აქ რკინიგზელთა რაზმიდან პირველმა მისცეს ხმა 72 წლის დიასახლისმა მარიამ რთველიაშვილმა, ახალგაზრდა ამომრჩეველმა ნინო ზარიძემ. სამშობლო ომის ვეტერანმა გ. ნიკაბაძემ და სხვებმა.

— ხმას ვაძლევ ჩვენი ქვეყნის ძლიერებისა და სამშვიდობო სავარო პოლიტიკას,— განაცხადა ქარხნის ელექტროზეინკალთა ბრიგადის ხელმძღვანელმა ი. ბაღაშვილმა.

ქარხნის მოტორ-სექციების კომუნისტური შრომის საელექტროელექტროზეინკალთა დამკვრელი ბრიგადა, რომელსაც ქარხნის ვეტერანი, ერთ-ერთი პირველსტაჟიანელი, სპატი რკინიგზელი ვარლამ ბეფეშვილი მეთაურობს, კოლექტიურად მოვიდა ხმის მისაცემად. დღის 12 საათისათვის აქ ამომრჩეველთა აბსოლუტურ უმრავლესობას მიეცემული ჰქონდა ხმა.

დიდი აღმავლობით ჩაიარა არჩევნებმა ორჯონიკიძის რაიონის 39-ე საარჩევნო უბანში. აქ ერთერთმა პირველებმა მისცეს ხმა ომის ვეტერანმა, მე-18 არმიის პოლიტგანყოფილების მუშამა თადარეზის პოდოლოგოვიჩმა დიმიტრი ალექსანდრეს ძე ჯაბუამ და მისმა მეუღლემ. კუტრანმა კომკავშირელმა ტატიანა ვრიგოლიამ.

— ჩვენთვის განსაკუთრებით სასიხარულოა ეს დღეები. — განაცხადა დ. ჯაბუამ. ამომენილი სახელმწიფო მოღვაწე ლ. ი. ბრეჟნევი, რომელთანაც ვმსახურობდი ომქმედ არმიაში, არჩეულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ.

აქ მისცა ხმა ეარეული ჯადამგარმა მაიორმა მურონიანმა ს. დანელიამ. მოქალაქეობრივი ვალი მოიხადეს ტაქელტელმა სტუმრებმა ცოლ-ქმარმა ლიუდმილა და ანატოლი შინგარიოვებმა.

დიდი აღმავლობით მოეწყო არჩევნები თბილისის მე-6 საარჩევნო უბანში, რომელიც 51-ე საშუალო სკოლაშია მოთავსებული. აქ ხმა მისცეს რა თავიანთ რჩეულებს, უბნის ამომრჩეველებმა და სკოლის პედაგოგიურმა კოლექტივმა მისალმებელი დეპეშა გაუგზავნა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს.

ორგანიზებულად და მაღალ დონეზე ჩატარდა არჩევნები ლენინის რაიონის 66-ე, 26 კომისრის რაიონის 42-ე, ალექსანდრეს რაიონის 23-ე და ორჯონიკიძის რაიონის 30-ე საარჩევნო და სხვ. უბნებში. მაგალითად, 30-ე საარჩევნო უბანში დღის 4 საათისათვის ხმა მიეცემული ჰქონდა ამომრჩეველთა 99,5 პროცენტს.

წარმატებით ჩაიარა არჩევნებმა თბილისის ყველა რაიონში. მშრომელებმა ხმა მისცეს ლენინგრადის სამშვიდობო პოლიტიკას, ჩვენი ქვეყნის ძლიერებას. მათ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს ულოცავენ საფრანგეთში ეკონომიკის ბანის ეროვნული წარმატებით დამთავრება.

გვიან ღამემდე გრძელდებოდა ზეიმი ჩვენს დედაქალაქში.

ე. მამალაძე.

ზათუმი

არჩევნების დღეს — 19 ივნისს აჭარის ზღვისპირეთიდან შორეული მთის სოფლებამდე განსაკუთრებით საზეიმო განწყობილება იერძნობოდა. საზეიმო მართლაც რომ ბევრი რამ აქვთ. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგში დიდი წარმატებებია მოპოვებული. მრეწველობამ გეგმის გადაჭარბებით 4.120.000 მანეთით მეტი პროდუქცია გამოუშვა. სახელოვნებამ მეზიეიებმა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 3.900 ტონით მეტი ჩაი მოკრიფეს.

დღის ეკვეს საათიდან საარჩევნო უბნებში ფართოდ გაიღო კარი და მიიწვიეს ამომრჩეველები. მანქანათაშენებლების ქარხნის № 239 საარჩევნო უბანში ხმა მისცეს ქარხნის მოწინავე მუშას, მექანიკური საამქროს ახალგაზრდა ზეინკალს ბონდო ბოლოაშვილს.

— ბონდო, ჩემი ეფზრდილია და დარწმუნებული ვარ გაამართლებს ხალხის ნდობას, — ეუბნა ხმის მიცემის დროს საწარმოს ვეტერანმა ზეინკალმა მურად ქარცევაძემ. მას ბევრი ახალგაზრდა ეფზრდილი და ცხოვრების დიდ სარბიელზე დაეღოცა გზა.

სასახარულო ცნობები მოდიოდა რაიონში ბინადან. ქობულეთის რაიონის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატში ხმა მისცეს საწარმოს მოწინავე მეორეს ნარგოლ რომანაძეს, რომელმაც თავდადებული შრომით მოიხვეჭა სახელი.

ქედის რაიონში გობრონეთელმა მშრომელებმა რაიონული საბჭოს დეპუტატად აირჩიეს სახელოვანი მეთამბაქოე ვენერა დავითაძე.

საქართველოს საზღვაო სანაოსნომ საღამოს თორმეტი საათისათვის მიიღო ცნობა, რომ ტანკერ „ანაპას“ მეზღვაურებმა ერთსულოვნად აირჩიეს ტანკერის მოტორისტი ბეჟან ვადაჭკორია.

არჩევნები ერთსულოვნებისა და დარაზმულობის ნიშნით მიმდინარეობდა. შუადღისათვის მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას ხმა მიეცემული ჰქონდა. იმ დღეს ადგილობრივ საბჭოებში აჭარის მშრომელებმა 3.300-მდე დეპუტატობის კანდიდატს უყარეს ვინჯი. მშრომელებმა თავიანთ რჩეულთ ახალი განაწესი დაუსახეს.

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის სულისკვეთებით შთაგონებული აჭარის მშრომელებს შეეხებული აქვთ, რომ არჩევნებში ერთსულოვანი მონაწილეობით მათ ხმა მისცეს ჩვენი პარტიის ლენინურ პოლიტიკას, ჩვენი ქვეყნის მომავალს.

მ. გორგილაძე.

ცხინვალი

საბჭოთა დემოკრატიის დიდი ზეიმი დილადრიან დაიწყო საბრეთ ოსეთში სოლქო, საქალაქო, რაიონული და სადამო საბჭოების არჩევნების 125 საარჩევნო უბანში, სადაც დეპუტატობის კანდიდატად კენჭს იყრიან სამხრეთ ოსეთის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავენი, საარჩევნო ყუთთან ბიუროებიანი, ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები.

ცხინვალის № 3 საარჩევნო უბანში, რომელიც მეექვსე საშუალო სკოლის შენობაშია მოთავსებული, საარჩევნო ყუთთან ერთ-ერთი პირველი მოვიდა საქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის ვეტერანი, ორდენებითა და მედლებით მკერდდამშვენებული თადარიგის პოლკოვნიკი მურადინ ნ. ვაგლოევი.

— დღეს მე ხმა მივეცი ჩვენს რჩეულებს, განაცხადა მან, — ცხინვალის საქალაქო საბჭოში. ჩვენში ყველა ადამიანი თანაბარი უფლებებით სარგებლობს. ეს უფლებები ნათლადაა წარმოდგენილი ახალი კონსტიტუციის პროექტში, რომელიც შემუშავებულია მშვიდობის დიდი დამცველის, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით. ქვეყანას, რომელიც ჩვენს თვალწინ იშვა და გაიზარდა ახალი კონსტიტუცია კიდევ უფრო გაასხივოსნებს, — თქვა ამხანაგმა ნ. ვაგლოევმა.

— წელს პირველად ვმონაწილეობ არჩევნებში. დღეიდან ჩვენი დიდი საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი გავხდი. ეს არის ადამიანის უფლებათა დიდი ზეიმი, — თქვა ცხინვალის № 1 საარჩევნო უბანში მოსულმა ახალგაზრდა ამომრჩეველმა, სამხრეთ ოსეთის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა მ. ძიგოევამ.

აღფრთოვანებითა და კმაყოფილებით ლაპარაკობენ ამომრჩეველები თავიანთ უფლებებზე, ახალი საბჭოთა კონსტიტუციის პროექტით. მთელი ხალხის ერთიანი ნება, რომელიც ასე მკაფიოდ გამოვლინდა ადგილობრივი საბჭოების არჩევნებში, ახალ-ახალი გამარჯვებების, პარტიის წინასწარდასახულობათა წარმატებით შესრულების საწინდარია.

ბათუმი

არჩევნების დღეს — 19 ივნისს აჭარის ზღვისპირეთიდან შორეული მთის სოფლებამდე განსაკუთრებით საზეიმო განწყობილება იერძნობოდა. საზეიმო მართლაც რომ ბევრი რამ აქვთ. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგში დიდი წარმატებებია მოპოვებული. მრეწველობამ გეგმის გადაჭარბებით 4.120.000 მანეთით მეტი პროდუქცია გამოუშვა. სახელოვნებამ მეზიეიებმა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 3.900 ტონით მეტი ჩაი მოკრიფეს.

დღის ეკვეს საათიდან საარჩევნო უბნებში ფართოდ გაიღო კარი და მიიწვიეს ამომრჩეველები. მანქანათაშენებლების ქარხნის № 239 საარჩევნო უბანში ხმა მისცეს ქარხნის მოწინავე მუშას, მექანიკური საამქროს ახალგაზრდა ზეინკალს ბონდო ბოლოაშვილს.

— ბონდო, ჩემი ეფზრდილია და დარწმუნებული ვარ გაამართლებს ხალხის ნდობას, — ეუბნა ხმის მიცემის დროს საწარმოს ვეტერანი ზეინკალი მურად ქარცევაძე. მას ბევრი ახალგაზრდა ეფზრდილი და ცხოვრების დიდ სარბიელზე დაეღოცა გზა.

სასახარულო ცნობები მოდიოდა რაიონებიდან. ქობულეთის რაიონის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატში ხმა მისცეს საწარმოს მოწინავე მეორეს ნარგოლ რომანაძეს, რომელმაც თავდადებული შრომით მოიხვეჭა სახელი.

ქედის რაიონში გობრონეთელმა მშრომელებმა რაიონული საბჭოს დეპუტატად აირჩიეს სახელოვანი მეთამბაქოე ვენერა დავითაძე.

საქართველოს საზღვაო სანაოსნომ საღამოს თორმეტი საათისათვის მიიღო ცნობა, რომ ტანკერ „ანაპას“ მეზღვაურებმა ერთსულოვნად აირჩიეს ტანკერის მოტორისტი ბეჟან ვადაჭკორია.

არჩევნები ერთსულოვნებისა და დარაზმულობის ნიშნით მიმდინარეობდა. შუადღისათვის მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას ხმა მიეცემული ჰქონდა. იმ დღეს ადგილობრივ საბჭოებში აჭარის მშრომელებმა 3.300-მდე დეპუტატობის კანდიდატს უყარეს ვინჯი. მშრომელებმა თავიანთ რჩეულთ ახალი განაწესი დაუსახეს.

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის სულისკვეთებით შთაგონებული აჭარის მშრომელებს შეეხებული აქვთ, რომ არჩევნებში ერთსულოვანი მონაწილეობით მათ ხმა მისცეს ჩვენი პარტიის ლენინურ პოლიტიკას, ჩვენი ქვეყნის მომავალს.

მ. გორგილაძე.

რუსთავი

.:. მაოლოდ რამდენიმე წუთია გასული არჩევნების დაწყებიდან, და საქალაქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს სოციალისტური შრომის გმირს ო. ლომაძეს უბნებიდან და ოლქებიდან უკვე მოახსენებენ, თუ სად და ვის ხვდა პატივი პირველი მისულიყო ყუთთან.

...82-ე ოლქი, № 17 უბანი. აქ ყველას დაასწრო საბჭოთა ყაზარმის გმირმა გრიგოლ ბეჟანიძემ და ხმა მისცა მეტალურგიული ქარხნის ფურცლსაგლინავი საამქროს მოწინავე ოპერატორს ომარ ყაპანაძეს.

სსრ კავშირის მრეწველობის უფლება აქვს „აირჩიოს და არჩეული იქნეს...“ — ნათქვამია კონსტიტუციაში და ამის ნათელი მაგალითია დღეს თვითონ გ. ბუაჩიძე, რომელიც რუსთავის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე ქენჭი იყარა.

— ბედნიერი ვარ, — ამბობს გ. ბუაჩიძე, — რომ დღეგანდელ არჩევნებში ეს ორივე დიდი უფლება განახორციელე.

ყველა თავისებურად განიცდის და აღიქვამს არჩევნების სიხარულსა და ბედნიერებას, მაგრამ განსაკუთრებული და დაუვიწყარია იგი იმათთვის, ვინც პირველად ეზიარა თავის მაღალ მოქალაქეობრივ უფლებას.

ი. 42-ე საარჩევნო უბანი. პირველი საარჩევნო ბიულეტენები ორმა გოგონამ — ნატალიამ და გალინა გურიკინებმა მიიღეს. ისინი მე-16 პროფტექნიკური სასწავლებლის ლესაბრდელები, მომავალი ქიმიკოსები არიან. გალარეკ ერთი აქვთ, წლოვანებაც და ბაბის სახელიც — ტიუბის ცალები არიან. ჩანს, არჩევნებში პირველად მონაწილეობს სახალხო ლეგენდა მოიყანა გოგონები ყველაზე ადრე.

1917 წლიდან კომუნისტმა, ქალაქის პარტიის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარემ ბეგლარ ჯაპანიანმა ასე გამოხატა თავისი დამოკიდებულება არჩევნებისადმი, ხმას ვაძლევ ახალ კონსტიტუციას, ხმას ვაძლევ საბჭოთა სამშობლოს შუშდგომ აყვავებას! ცნობილი მეცნიერი, სოციალისტური შრომის გმირი ვარდომ ციბერიძე მთელი ოჯახით მოვიდა საარჩევნო უბანში. ხმის მისაცემად ასეთი ოჯახით გამოცხადდა ალბანან, ბიზა და ადილა მამედოვები.

მრავალეროვანმა ინდუსტრიულმა რუსთავმა ერთსულოვნად მისცა ხმა კომუნისტებისა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს.

ს. ხარაზიშვილი,

გავზარდოთ დამხმარე მეცხოველეობის პროდუქტიულობა

ოქრომნალი

თერჯოლის რაიონის სოფელ სიქთარვის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობისა და სოფელ ქვედა სიმონეთის კოლმეურნეობის მშრომელთა მსმაქრთვა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელისადმი

„პირად მეურნეობებს მეტი ყურადღება უნდა დავთმოს, უნდა ვიზრუნოთ მათთვის“, — ხაზგასმით აღნიშნა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში. ისევე როგორც კომუნისტური პარტიის მთელ აგრარულ პოლიტიკას, ამ მითითებასაც საფუძვლად უდევს ცხოვრების ღრმა ცოდნა, მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობის წინაშე მდგომი აქტიალური ამოცანების რაც შეიძლება მალე გადაწყვეტას.

კონკრეტულად, ხაქმიანად უპასუხეს პარტიის ამ ზრუნვას თერჯოლის რაიონის სოფელ სიქთარვის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობისა და სოფელ ქვემო სიმონეთის კოლმეურნეობის მშრომელებმა. მათ დაისახეს კეთილშობილური მიზანი — რესპუბლიკის მეცხოველეობისათვის არატიპიურ რაიონში, სახნავი მიწების მეტად შეზღუდული რესურსების მქონე მთის პირობებში, მოკლე ვადებში მიაღწიონ საკარმიდამო მეცხოველეობის პროდუქტიულობის მკვეთრ ბედიდებას, ამ გზით სახელმწიფოსათვის რძისა და ხორცის მიყიდვის ზრდას. კოლმეურნეობებმა გამოიჩინეს საუნარდღეგო ინიციატივა, როგორიც ითვალისწინებს მთლიანად უზრუნველყოს კოლმეურნეობების საკვებით მოსახლეობის პირად დამხმარე მეურნეობაში არსებული პირუტყვი.

თერჯოლის რაიონის სოფელ სიქთარვის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობისა და სოფელ ქვემო სიმონეთის კოლმეურნეობის რწმუნებულთა კრებაზე მიიღეს მიმართვა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელისადმი, რომ მხარი დაუჭირონ მათ ინიციატივას.

სოფელ სიქთარვის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის რწმუნებულთა კრების მიმართვაში, კერძოდ, აღნიშნულია, რომ:

კოლმეურნეობაში წამყვანი დარგია მეცენახეობა, მაგრამ როგორც საზოგადოებრივ, ისე პირად დამხმარე მეურნეობაში გარკვეული ადგილი უკავია მეცხოველეობას. დამხმარე მეურნეობის პირობებში გაძღოლებულია პირუტყვის გამოზამთრება, ამიტომაც უკანასკნელი 4 წლის მანძილზე მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა ერთსა და იმავე დონეზე რჩება. ეს მდგომარეობა არანორმალურად მიგვაჩნია.

ხელმძღვანელობს რა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმის გადაწყვეტილებებით, კოლმეურნეობამ ჯერ კიდევ შარშან დიდი ნაბიჯი გადადგა მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის გზაზე. გაიზარდა სხვადასხვა სახეობის უხეში და წვნიანი საკვების დამზადება. გამოცდილებამ ცხადყო, რომ ჩვენში შეიძლება განსაკუთრებით ეფექტიანად გამოიყენოთ ხენაყის დამზადებლად შვრიის ნათესები. შვრია მწვანე მასის უხე მოსავალს იძლევა, ხენაყი კი განსაკუთრებით მაღალი ხარისხის გამოდის.

მართალია, შარშან საკვების დამზადება ერთბაშად ვერ წამოწყეთ, მაგრამ საკვები ბაზის განმტკიცების რეზერვების აქტიურმა ძიებამ კარგი ნაყოფი გამოიღო. წელს სასენაყედ შვრიის ნათესებმა 35, ხოლო სასილოსე სიმინდის ნათესებმა 30 ჰექტარი დიიკავეს. მათ კარგად ვუვლიდით და ახლა ყოველ ჰექტარ შვრიის ნათესზე საშუალოდ ვიღებთ დაახლოებით 280 ცენტნერ მწვანე მასას. გაზაფხულის ხშირმა წვიმებმა ხელი შეუწყვეს ბუნებრივი ბალახების ინტენსიურ ზრდას, რომლებსაც ჩვენ ვთიბავთ ხვეებისა და გზების პირასაც. კოლმეურნეობის ტერიტორიაზე მცხოვრებ კოლმეურნეთა პირად დამხმარე მეურნეობაში 450 პირობითი სული პირუტყვია. მათი ნორმალური გამოზამთრებისათვის საჭიროა 7.368 ცენტნერი საკვები ერთეული, მაშინ, როცა საკარმიდამო ნაკვეთების მთელ სახნავ ფართობზე შეიძლება მოვიწიოთ 5.750 ცენტნერი საკვები ერთეული. ასეთი რაოდენობის საკვებით ზამთრის განმავლობაში შეიძლება გამოიკვებოს მხოლოდ 350 პირობითი სული პირუტყვი.

ჩვენ გულდასმით ავწონ-დავწონეთ არსებული რეზერვები, და მივგვიჩნია, რომ კოლმეურნეობას აქვს შესაძლებლობა **დამატებით დამზადოს 1.640 ცენტნერი საკვები ერთეული, რაც დაფარავს მშრომელთა დამხმარე მეურნეობაში საკვების დეფიციტი. უზრუნველყოთ ამ მეურნეობაში პირუტყვის მთელი სულადობის მაძღარი გამოზამთრება.**

კოლმეურნეობის გამგეობა, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები, სასოფლო საბჭოს აღმასკომი ღრმად არიან დარწმუნებული, რომ ამ ინიციატივას დიდი მნიშვნელობა აქვს. წელს კოლმეურნეობა მოსახლეობას მიჰყიდის 410 ტონა უხეშ საკვებს, აქედან 250 ტონა ხენაყს, 100 ტონა ნამჯას, 50 ტონა თივას და 10 ტონა სიმინდის ჩალას.

მოგმართავთ რა თქვენ, რესპუბლიკის კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობებისა და სახელმწიფო მეურნეობების მუშა-მოსამსახურეებს, მოგიწოდებთ მიბაძოთ ჩვენს მაგალითს და თქვენი წვლილიც შეიტანოთ საკარმიდამო მეცხოველეობის განვითარებაში.

თერჯოლის რაიონის სოფელ ქვედა სიმონეთის კოლმეურნეობის მშრომელები თანმიმდევრულად იბრძვიან სკკპ XXV ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმის გადაწყვეტილებათა პრაქტიკული განხორციელებისათვის, — ამ სიტყვებით იწყებენ სიმონეთელები თავიანთ მიმართვას რესპუბლიკის სოფლის მშრომელებისადმი,

— შარიის შუალედური ნათესები ჰექტარზე გვაძლევენ 200-250 ცენტნერ დიდყუთიან მწვანე მასას, — ნათქვამია შემდეგ მიმართვაში, — გარდა ამისა, ვთესავთ სანაწვერალო ულტურებს საშემოდგომო მარცვლეულის მოსავლის აღების შემდეგ განთავისუფლებული ფართობის დაახლოებით 80 პროცენტზე, წარმატებით მოგვყავს ტურნეფსი. დიდ ყურადღებას ვუთმობთ პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებას.

ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი გადავჰრათ სოფლის მოსახლეობის პირად სარგებლობაში მთოფი პირუტყვის საკვებით უზრუნველყოფის პრობლემა. მშრომელებს, ამრიგად, გავუწევთ ხელიოზულ პრაქტიკულ დამხმარეს საკარმიდამო მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მათი მიყიდვის გადიდებაში.

საკვების დამზადებაში მოსახლეობისათვის ჩვენს დახმარებას ეტაპობრივ ხასიათს მივანიჭებთ. უწინარეს ყოვლისა, ეს იქნება დახმარება საძოვრებისა და ბაბალახოვის გაუმჯობესებაში, სადაც საკარმიდამო პირუტყვი იკვებება, აგრეთვე მისთვის უხეში საკვების დამზადებაში. უკვე წელს ჩავატარებთ 30 ჰექტარი საძოვრების ზედაპირულ გაუმჯობესებას რამდენადმე მოგვიანებით შევძლებთ უზრუნველყოთ დამხმარე მეურნეობა წვნიანი საკვებითაც.

ერთ-ერთი ამოცანა ის არის, რომ ხელიდან არ გავუშვათ თითქმის ბუნებრივი ბალახების დამზადების არც ერთი შესაძლებლობა. ბალახები ითიბება ჭიბინარეებში, გზატკეცილებისა და სასოფლო გზების პირას, მიკარონაკვეთებში. რომლებიც სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზეა გაფანტული. ტყის პირებში.

ახლა სოფელ ქვედა სიმონეთის მშრომელთა პირად მეურნეობაში 748 პირობითი სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი. ასეთი ჯოგის გამოსაზამთრებლად საჭიროა 11.970 ცენტნერი საკვები ერთეული, ხოლო მოსახლეობის საკარმიდამო მეურნეობაში შესაძლებლობა აქვს დაამზადოს მხოლოდ 9.648 ცენტნერი, ესე იგი ზამთრის პირობებში უზრუნველყოს 602 პირობითი სული პირუტყვის შენახვა. დანარჩენი 146 სული პირუტყვის გამოზამთრებისათვის კოლმეურნეობა კიბრუნლობს საკუთარი ძალებით დაამზადოს 2.320 ცენტნერი საკვები ერთეული.

საზოგადოებრივი მეურნეობა წელს სახელმწიფო ფასებით კოლმეურნეებს საკარმიდამო მეურნეობის საჭიროებისათვის მიჰყიდის: 580 ტონა უხეშ საკვებს, აქედან 20 ტონა ნამჯას, 50 ტონა თივას, 30 ტონა სიმინდის ჩალას. 300 ტონა სენაყს, კომბინირებულ საკვებს, აგრეთვე 300 ტონა ფუნვილს ყურძნის ნარჩენებისაგან.

იმედი გვაქვს, რომ ამ ღონისძიებათა მეოხებით მნიშვნელოვნად დაინტერესებთ მოსახლეობას მეცხოველეობით, ხელს შეუწყობთ პირუტყვის სულადობის გადიდებას, რძისა და ხორცის წარმოების შემდგომი ზრდისათვის საფუძვლის შექმნას.

დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი კოლმეურნეობის მაგალითს მიბაძავენ საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელთა კოლექტივები.

(საქინფორმი).

1 აგვისტომდე რესპუბლიკის ვენახებსა და ხეხილის ბაღებში სამუშაოთა ორთვიურა.

ხშირად გამბობთ ხოლმე — დაილოცოს საქართველოს ზვრებისა და ბოლების ბარაქა, ზვრებია ჩვენი მარჩენალი, ბაღია ჩვენი შემოსავალი. წყარო, ვინც ბაღევნახს არ მოუკლის, ის თავის თავს ბეტრიაო. ასე ესმის კარგ მეურნეს. მაგრამ განა ყველგან ასეა?

სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სპეციალიზირებული ტრესტების, გაერთიანებების, მებაღეობის, მეენახეობისა და მეღვინეობის, მეციხარეთა დაცვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სპეციალისტებმა ივნისის დამდეგს 25 რაიონში შეამოწმეს რესპუბლიკის საზოგადოებრივი ვენახების, ხეხილის ბაღების, ვაზის სანერგეებისა და სადედეების საერთო მდგომარეობა, ბაღ-ვენახებში სამუშაოთა მიმდინარეობა.

კახეთისა და იმერეთის ზონების, აგრეთვე ქასპის, მარნეულის, ბოლნისის და სხვა რაიონების საზოგადოებრივი მეურნეობების ვენახებში ნიადაგი შემოდგომაზე და გაზაფხულზე დამუშავებული, მწერალური სასუქების შეტანა, სხვლა-ფორმირება, ახალი შპალერის მოწყობისა და არსებულის რემონტის სამუშაოები, შეყელვა, მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ წამლობა ძირითადად აგროწესებით გათვალისწინებულ ვადებში შესრულდა.

შარშანდელთან შედარებით უფრო ორგანიზებულად და სრულყოფილად მოეწყო მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის პროფილაქტიკური ღონისძიებები. ამის გამო მიღებული ეფექტი (ზოგიერთის გარდა) დღესდღეობით დაკმაყოფილებულია.

კახეთის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში ზვრები სოკოვან დაავადებათა საწინააღმდეგოდ სამ-ოთხჯერ, ხოლო ზოგიერთ მეურნეობაში 5-6-7-ჯერ, შეიწამლა. ქართლისა და დასავლეთ საქართველოს რაიონების საზოგადოებრივმა მეურნეობებმა ფესვასის დამდეგისათვის ვენახები 2-3-ჯერ შეწამლეს.

მწვანე ოპერაციების შესრულებაში ქართლის ზონის ზოგიერთ რაიონში მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებია. მაგალითად, გორის რაიონში 1.365 ჰექტარი ვენახიდან მწვანე ოპერაციები მხოლოდ 210 ჰექტარზე შესრულეს, ხაშურის რაიონში 1.620 ჰექტარიდან—720 ჰექტარზე, ასპის რაიონში 2.061 ჰექტარიდან — 688 ჰექტარზე, ხოლო ქარელის რაიონის მეურნეობებისა და ხაშურის რაიონის ცოტნისნარისა და სურამის კოლმეურნეობებში ეს სამუშაოები დაწყებული არ იყო.

ამ რაიონების მეურნეობათა ვენახებში ნიადაგი ძლიერ ფასარეულებულია, რის გამო შეიძლება ვაზის სოკოვანი დაავადებანი გავრცელდეს. ლაგოდეხის რაიონის ბაბიანების კოლმეურნეობის ვენახებში დაწყებული ჰქონდათ „ბახსნის“ სამუშაოები. ამ პერიოდშიც ეს სამუშაო აგროწესებით არ უნდა სრულდებოდეს. ეს მხოლოდ ზიანს მოიტანს. ყვარელს, ლაგოდეხისა და სხვა რაიონების მეურნეობებში ახალშენი (1-2, 3 წლიანი) ვენახების საგრძნობი ნაწილი შპალერზე არ იყო გადაყვანილი. და ეს მაშინ, როცა რკინიბეტონის ბოძებითა და მავთულით ისინი უზრუნველყოფილი არიან.

ამ ნაკლოვანებების მიუხედავად ღონისძიებების ვენახების საერთო მდგომარეობა ზოგიერთ რაიონში ძირითადად დამაკმაყოფილებელია.

წმენდას გაზაფხულზე რესპუბლიკის კოლმეურნეობებში, სახელმწიფო მეურნეობებსა და სასელმწიფო სანერგეებში ნაცვლად 96 მილიონისა 96,46 მილიონი ცალი ვაზი დაამყნეს. ვაზის მყნობა და ნამყნეს სტრატიფიკაცია ორგანიზებულად და დაწესებული რეჟიმის დაცვით შესრულდა.

ეს კარგია, მაგრამ ვაზის მყნობისა და ნერგის წარმოების საქმეში ჯერ კიდევ სერიოზული წაკლულებებია. რესპუბლიკაში არ შესრულებულა მყნობის გეგმა ჯიშების მიხედვით; განსაკუთრებით ალიგანური, ალბანური, ალბალა, ალიმინა, ალიანური, ალიბერტონის ბოძებითა და მავთულით ისინი უზრუნველყოფილი არიან.

ამ ნაკლოვანებების მიუხედავად ღონისძიებების ვენახების საერთო მდგომარეობა ზოგიერთ რაიონში ძირითადად დამაკმაყოფილებელია.

წმენდას გაზაფხულზე რესპუბლიკის კოლმეურნეობებში, სახელმწიფო მეურნეობებსა და სასელმწიფო სანერგეებში ნაცვლად 96 მილიონისა 96,46 მილიონი ცალი ვაზი დაამყნეს. ვაზის მყნობა და ნამყნეს სტრატიფიკაცია ორგანიზებულად და დაწესებული რეჟიმის დაცვით შესრულდა.

ეს კარგია, მაგრამ ვაზის მყნობისა და ნერგის წარმოების საქმეში ჯერ კიდევ სერიოზული წაკლულებებია. რესპუბლიკაში არ შესრულებულა მყნობის გეგმა ჯიშების მიხედვით; განსაკუთრებით ალიგანური, ალბანური, ალბალა, ალიმინა, ალიანური, ალიბერტონი ... ...

საქართველოს
ტელეგრაფი
გაერთიანებული
მსოფლიოს ამბები

საფრანგეთი მივესალმება

პარიზი, 20 ივნისი. (საკდესი). საფრანგეთის პოლიტიკური და საქმიანი წრეები, ქვეყნის ფართო საზოგადოებრიობა მხურვალედ მიეგება სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის ჩამოსვლას საფრანგეთში.

ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი საფრანგეთში, თქვა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, საფრანგეთის ეროვნული კრების საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ მ. კუკ დე მიურვილმა, ასახავს ორივე მხარის მისწრაფებას გააუმჯობესონ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა, რაც შეესაბამება საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ეროვნულ ინტერესებს, მთელი მსოფლიოს ინტერესებს, სერიოზული წვლილი შეაქვს ევროპასა და მის ფარგლებს გარეთ მშვიდობის განმტკიცებისა და დაძაბულობის შენელების საქმეში.

საფრანგეთში მოსახული ჯარი მიეგებალმოთ ჩვენს მიწა-წყალზე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს, განაცხადა თვალსაჩინო პოლიტიკურმა მოღვაწემ ჟ. ლუტიემ. საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკური საქმიანობა, როშელშიც მიჩვად დიდია ლ. ი. ბრეჟნევის პირადი წვლილი, სრულ გაგებასა და მხარდაჭერას პოულობს საფრანგეთის საზოგადოებრიობის ფართო წრეებში.

უფრმესი კმაყოფილება გვიუფლება იმის გამო, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტზე არჩევის შემდეგ ლ. ი. ბრეჟნევი თავისი პირველი ვიზიტით სწორედ საფრანგეთში ჩამოდის, ეაზი გაუსვა ჟალაქ სიურენის (ზემო სენის დეპარტამენტი) მერმა რ. პონტი

19 ივნისს—საარჩევნო უბნებში

19 ივნისს სადღესასწაულოდ იყო მორთული ჩვენი რესპუბლიკის ქალაქები, სოფლები, დაბები, ქუჩები და მოედნები, განსაკუთრებით ლამაზად გამოიყურებოდა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების საარჩევნო უბნები, სადაც დილაადრიან მიაშურეს საქართველოს მშრომელებმა, რათა მოეხადათ თავიანთი მოქალაქეობრივი მოვალეობა — ხმა მიეცათ ხალხის რჩეულთათვის. ბევრგან შეხვდებოდით ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილ მოხუცებსა თუ ახალგაზრდებს, რომლებიც მხიარული სახეებით მიაბიჯებდნენ საარჩევნო უბნებისკენ. საარჩევნო უბნებში მოწყობილ სახელდახელო ესტრადებზე და დარბაზებში თავიანთ შემოქმედებას უჩვენებდნენ მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები. ჩვენი რედაქციის კორესპონდენტების ეს ფოტოსურათები არჩევნების დღეს არის გადაღებული. ზემოთ — დუშეთის № 1 საარჩევნო უბანში ახალგაზრდები ხმას აძლევენ თავიანთ რჩეულებს; ქვემოთ — სახალხო ზეიმი თბილისის ლენინის რაიონის № 73 საარჩევნო უბანში. ამომრჩეველთა წინაშე გამოდის პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლის ქორეოგრაფიული ანსამბლი.



ბ. გოგოხიასა და ს. კილაძის ფოტო.

ნახევარი საუკუნის სიმაღლიდან

მუსიკალური კომედიის თეატრი 50 წლისაა

ვასო აბაშიძის მუსიკალური კომედიის თეატრი

დამთავრდა თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრის საიუბილეო კვირეული, რომელმაც თავისი 50 წლისთავი აღნიშნა.

ამ დღეებში თეატრმა მაყურებლები მიიწვია საუკეთესო დადგმების — დ. შოსტაკოვიჩის ოპერეტა „მოსკოვი-ჩერიომუშკის", ამერიკელი კომპოზიტორის მიტჩელის „ლამანჩელის", ი. ბობოხიძის „ბურატინოს", გ. ცაბაძის „ბირანდოლინას" და სხვათა სანახავად.

19 ივნისს გაიმართა საზეიმო საღამო, რომელიც გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა დ. ალეკსიძემ.

დღეს ჩვენი თეატრის კოლექტივი კვლავ ავთვარებს ქართული სცენური და მუსიკალური ხელოვნების საუკეთესო ტრადიციებს, მუდამ ძიებაშია. მისი სცენიდან ულერს ქართველი, რუსი — დაბადების დღით დავიწყოთ, — ამბობს ა. ტრაპაიძე. — თვითმოქმედმა თეატრმა, რომელის რეპერტუარში საჭირბოროტო მცირე ფორმის ნაწარმოებები იყო. 1927 წელს ხელმძღვანელებად მოიწვია მიხეილ ჭიაურელი და დავთან ძნელაძე. ალეკსიანი დასის ცხოვრებაში ეს ხანა თეატრის ისტორიის პირველ ფურცლად შეიძლება ჩავთვალოთ. მაგრამ თვითმოქმედი დასის პროფესიულ თეატრად ჩამოყალიბების პროცესი ერთი და ორი დღის საქმე არ არის. მონდომებას და სამსახიობო და სარეჟისორო ძალთა მომაგრებას კიდევ სჭირდება ისეთი პიესა, რომელშიც გამოვლინდება თანამოაზრე შემოქმედთა ნიჭი, საკითხებისადმი დამოკიდებულება, შეხედულებანი. სწორედ ასეთ სპექტაკლად იქცა ს. ფაშალიშვილის „სიეჩო" (დადგმული რეჟისორი მ. ჭიაურელი, კომპოზიტორი ვ. ცაგარეიშვილი) და გალატონ ონიანის „დანგლა". ამ სპექტაკლებში გამოიკვეთა ახლადშექმნილი თეატრის სახე და პოზიციები, თავისებური ეტიკეტი გახდა შემოქმედებითი ეზოების ძიებისა.

აქ ერთი საყურადღებო ამბავი მინდა გავიხსენო. თქმაც თეატრი სრულიად ახალგაზრდა იყო, მაგრამ მას უკვე დიდი სიყვარული მოეკრებინა და ხეთი წლის ფუძეზე თვით ხალხმა, საკუთარი ინიციატივით გადაუხადა.

ამ დროს თეატრის შემოქმედებითი კრედო კიდევ განისაზღვრა და მას მოძრავი მუსიკალური სატირის თეატრი" ეწოდა. 1935 წლიდან კი აღიარებულია სახელმწიფო თეატრად. მის ცხოვრებაში ახალი ხანა დაიწყო. დასი თანამიმდევრულად იწყებს ხელოვნების ნამდვილი კლასიკური ნიმუშების დადგმას. ამ წლებში შომწიფდა საქართველოში პირველი მუსიკალური კომედიის თეატრის დაარსების იდეა.

ერთ-ერთი სერიოზული ნამუშევარი, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა, იყო მოლიერის „ყაჩაღნის ოინები". მ. ჭიაურელს დადგმულმა სპექტაკლმა, რომელიც მხატვრულად პ. ოცხელმა გააფორმა, დიდი ინტერესი გამოიწვია და დაამტკიცა, რომ თეატრს მსოფლიოს კლასიკური რეპერტუარის განხორციელების ძალა შესწევს. ამავე სეზონში დაიდგა ოდრანის ოპერეტა „მასკოტა" და ჯ. ფლეტჩერის კომედია „ესანგნი მღვდელი". ნიადაგი მომზადდა და სცენაზე განხორციელდა თანამედროვე ფიმაზე დაწერილი ქართული მუსიკალური კომედია.

ეს იყო კ. ლორტიდისა და მ. ლაკრებაიას „ხაჯარათი", რომელიც მ. ჭიაურელმა და ფ. ძნელაძემ დადგეს. ამავე სეზონში დაიდგა ქართული კლასიკა — დ. კლდიაშვილის „სოლომონ მორბელაძის მიხედვით შექმნილი მუსიკალური კომედია „აზნაურები". თეატრის პოლიტიკური მრწამსის გამოხატულება იყო შ. დადიანის „ნაპრწყლიდან".

ვენური ოპერეტის კლასიკური ნიმუშების განხორციელების ცდა იყო ფრიმლისა და შტოტგარტის „როზ-მარი", რომელიც 1941 წელს დაიდგა და თეატრის ერთ-ერთ საეტაპო სპექტაკლად იქცა.

დადგა სამამულო ომის მძიმე წლები. თეატრის შენობა სანახევროდ სამხედრო საჭიროებას დაეთმო. მძიმე განსაცდელის წლებში თეატრმა უდიდესი სულიერი ვაჟკაცობა და მადალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა გამოიჩინა. მთელი კოლექტივი ვალიერებული მონდომებით მუშაობდა. სტაციონარის პარალელურად შეიქმნა ძლიერი მხატვრული ბრიგადა, რომელიც წლიურად სამუალოდ ას ორმოცდაათ საშვილო კონცერტს მართავდა ფრონტის წინა ხაზზე, ჰოსპიტლებსა და სამხედრო ნაწილებში. ძნელბედობის ჟამს მან ერთ-ერთმა პირველთაგანმა განახორციელა სამამულო ომში პარტიზანულ ბრძოლებზე დაწერილი უკრაინელი კომპოზიტორის კ. დანკევიჩის მუსიკალური კომედია „ოქროს გასალები", რომელიც ბ. გამრეკელმა დადგა. ამ რეჟისორის სახელი მჭიდროდ დაუკავშირდა მუსიკალური კომედიის თეატრს, სადაც მან არაერთი და ორი საინტერესო სპექტაკლი დადგა („მარიცა", „ყურკას ქორწილი", „ბაბაჯანას ქოშები", „ჭირვეული ქმრის მორჯულება", „მზის დაბნელება", „არშინ-მალ-ალანი"...).

ომრომელის წლებში დასს შეემატა მსახიობთა მთელი პლეადა: თ. როდე-ჩიკავაძე, ე. ჩოხელი, ნ. მოსეშვილი, კ. კობერიძე, დ. ესებუა, მ. ხოფერია. ბ. ჩერაქლაშვილი, მ. ბერიაშვილი, ჯ. სალარიძე, ი. ქუთათელაძე, ა. ტურიაშვილი, ხ. იანგარაშვილი, ნ. კოდანოვა, ქ. კობახიძე, გ. გუგუნავა, შ. ხაჯალია, გ. ჭუმბაძე, ფ. ყარალაშვილი, თ. ხელაშვილი, ნ. ლალიძე, დ. ხელაშვილი, ბ. სუხიშვილი, ა. ქერეკელია, ნ. არეშიძე, შ. ტატიანაშვილი... მუსიკალური კომედიის თეატრის ისტორიასთან განუყოფელია ეს სახელები.

ყველა თეატრის კოლექტივს ჰყავს თავის აღიარებული მესვეურები, რომლებიც თავიანთი ნიჭიერებით შემოქმედებითი, ორგანიზატორული და პიროვნული ადამიანური ღირსებებით წარუშლელ კვალს ტოვებენ თეატრის ისტორიაში. ჩვენ თეატრსაც ჰყავს ასეთები: ბ. ოცხელი, კ. მაჩაბელი, ფ. ბაჟიაშვილი, ა. შანიძე, შ. მესხი, ბ. გამრეკელი.

შ. მესხმა მთელი თაეისი მუსიკალური და რეჟისორული ხელოვნება მთლიანად მუსიკალურ თეატრს მოახმარა. მან ბევრი რამ გააკეთა ეროვნული ნაწარმოებებით რეპერტუარის გამდიდრებისათვის. მის მიერ ოცდაათამდე დადგმულმა სპექტაკლმა თეატრის შემოქმედებითს ცხოვრებაში დიდი როლი შეასრულა.

რამდენიმე წელია თეატრის მთავარი რეჟისორი და სამხატვრო ხელმძღვანელია გ. მელიქი, მის მოღვაწეობასთან ერთად, თამამად შეიძლება ვთქვათ, დაკავშირებულია ბევრი წარმატება, პრინციპიალად ახალი შემოქმედებითი მამართულება, ყოველსოდაც ვერც ერთი კოლექტივი ხელოვნებას რთულ გზაზე წინ ვერ იმოძრავებს. მის მიერ განხორციელებული ნამუშევრები მსახიობებისგან აშკარად მეტ სიღრმეს, მოქნილობას თუ გზებავთ თვადიდებას მოითხოვს, რაც საბოლოო ჯამში მთელი სპექტაკლის მაღალ პროფესიულობის განმსაზღვრელია.

პრინციპულად და თვისებრივად შეიცვალა ორკესტრი. მას სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდა ნიჭიერი დირიჟორი ა. მამაცაშვილი და მუსიკაც შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ სულ სხვაგვარად ეღერდა.

ამ საიუბილეო დღეებში მინდა გამოვთქვა რწმენა, რომ ჩვენი თეატრის შემოქმედებითი ღასი კვლავაც და უფრო მეტი სიყვარულით წარდგება თავისი მაყურებლის წინაშე.



სურათზე: კომპოზიტორ ვაჟა აზარაშვილის ოპერეტა „მეცხრე ტალღა" (პრემიერა — 1969 წ. აპრილი). სპექტაკლის ერთი სცენა.

ქინოპაფიშა

ჩვენი ვალი

ფილმის გმირი ივანე კრუტოვი ძლიერი ხასიათის, ლაღი ბუნების კაცია. ომის წლებში საზღვაო ფლოტში იყო. მშვიდობიან დროს კი თევზსარეწი ტრალერით მსოფლიო შემოიარა. მართალია, მას არასოდეს დანანებია თავისი ძალა და ენერგია, მაგრამ სულით ღარიბი აღმოჩნდა. დაივიწყა ივანემ, რომ სადღაც, შორს ხმელეთზე, მოხუცი დედა და იმედგაცრუებული საბედო ელოდება. სიბერის მოახლოებამ მწვავედ აგრძნობინა სიმარტოვე.

ფილმი ე. ვოლოდარსკის სცენარის მიხედვით გადაიღო რეჟისორმა ბ. იაშინმა. როლებს ასრულებენ ლეონიდ მარკოვი, ლუდმილა ზაიცევა, ლიდია ფედოსეევა — შუქშინა, ნატალია ანდრეიჩენკო, ნიკოლოზ პენკოვი და სხვ. (მოსფილმი).

შენ გარდა არავინ

30 წელზე მეტი გავიდა დიდი სამამულო ომის დამთავრებიდან. ფილმის შექმნას საფუძვლად დაედო მოლდავეთში მიმდინარე სასამართლო პროცესი. ირჩეოდა საქმე ჯაშუშისა, რომელმაც გასცა ქ. კალუგის კომკავშირელ იატაკქვეშელთა ორგანიზაცია. ამ პროცესს თავმჯდომარეობდა სტეპან პოპოვი, მოლდავეთის უმაღლესი სასამართლოს წევრი (იგი ფილმის სცენარის ავტორია ვსევოლოდ ეგოროვთან ერთად). ფილმის დამდგმელი რეჟისორია ვასილ პასკარუ.

როლებს ასრულებენ იგორ სახაროვი, იგორ ლედოგოროვი, ალექსანდრ კურეპოვი, ვლადიმერ გორელოვი, იური ნიკოლსკი, ემანუილ ვიტორგანი და სხვ. (მოლდავა ფილმი).

გონიერი ნივთები

ფილმი გადაღებულია ცნობილი საბჭოთა მწერლის ს. მარშაკის ამავე სახელწოდების ზღაპრის მიხედვით. „გონიერი ნივთები", ზღაპრული სამყაროს აღიარებული რეკვიზიტები — ჯადოსნური ხალიჩა, მალემსრბოლი ჩექმა, უჩინმაჩინის ქუდი, მოლაპარაკე სარკე — ხელდაან ხელში გადადის და სასწაულებს ახდენს, დროდადრო ავი სულები ეპატრონებიან მათ და სწორედ მაშინ არის საჭირო მამაცობა...

სცენარის ავტორია კრისტელ გოფმანი, რეჟისორი — რაინერ ჰაუსდორფი.

როლებს ასრულებენ ვიუნტერ ზონენსიმი, ბალანშ კომერელი, ირმა მიუნხნი. (გდრ).

მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტთა პორტრეტები

მეტოქე

ახმილოვსკაია-ჩიბურდანიძის მატჩის წინ

ელენე ახმილოვსკაია შედარებით ახალი ფიგურაა მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკე ქალთა „თხავარსკვლავედში". პირველ დიდ წარმატებას მან შარშანწინ მიაღწია საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ფინალში, რომელსაც მსოფლიოს პირველობის ზონალური ტურნირის უფლებები ჰქონდა. ასეთ უფლებებს საკავშირო ჩემპიონატი ყოველ სამ წელიწადში ერთხელ იღებს და გასაგებია სწორედ მაშინ უყოს თავს უძლიერეს შემადგენლობას. ის რა ფინალისტი იქნებოდა, რომ (გუელის სიღრმეში მაინც) მმმავალში მსოფლიოს ჩემპიონ ნონა გაფრინდაშვილთან შეხვედრა არა სდომებოდა, მაგრამ, ცხადია, საქმეს. მარტო სურვილი არა მეკლის. ჭადრაკის სპეციალისტები მრავალი მონაცემის შეფასებითა და შეჯამებით, როგორც ყოველთვის, მონაწილეებს ფავორიტებად და აუტსაიდერებად ყოფდნენ. მიმმმხილველები დამსახურებას არავის უკარგავდნენ, მაგრამ 13 წლის ახმილოვსკაიას საზონათაშორისო ტურნირის საგზურის პრეტენდენტად.... არ ასახელებდნენ. ეს გასაგებიც იყო — ახმილოვსკაიასათვის ისიც დიდ პატივად ითვლებოდა, რომ იგი ფინალში გაკიდა. ასე ვთქვათ, მეტი რაღა უნდოდა.

მაგრამ როდის დადგებოდა ეს მომავალი, არავინ იცოდა. ყოველ შემთხვევაში, 1976 წლის საზონთაშორისო ტურნირში ახმილოვსკაიას სერიოზულ კონკურენტად არავინ თვლიდა. მას ჰოლანდიაში, ქ. როზენდალის ჯგუფში უნდა ეთამაშა. თბილისში მყოფმა საკავშირო საჭადრაკო ფედერაციის თავმჯდომარემ, დიდოსტატმა ავერბახმა განაცხადა, რომ როზენდალში ახმილოვსკაია ბელავენიცი და ფომინა ცუდად არ ითამაშებენ, მაგრამ სამეულში (3 ადგილი იძლეოდა პრეტენდენტთა ასპარეზობაში მოუვდრის საშუალებას) ვერ გავლენო. ავერბახს მხედველობაში ჰქონდა როზენდალის ტურნირის მეტად ძლიერი შემადგენლობა. და გახა მარტო ავერბახი! ყველა სხვა სპეციალისტიც ამ საზონათაშორისო ტურნირში გამოცდილი დიდოსტატეთისა და ოსტატების მორიგ წარმატებას ელოდა.

და აი მეორე მოულოდნელობა! ახმილოვსკაიამ ბრწყინვალედ წარმართა მთელი ასპარეზობა, საბოლოოდ პირველი — მეორე ადგილები გაიყო კუშნირთან, მაგრამ კოეფიციენტების ცხრილში უკეთესი მაჩვენებლების გამო პირველი პრიზი მოიპოვა! ისევ ჩაუსდნენ ექსპერტები ახმილოვსკაიას პარტიებს, ისევ აღნიშნეს მისი მაჩვიგი მიღწევები, ის, რომ ნისი ტექნიკა დაიხვეწა, რომ სადებიუტო რეპერტუარი გაფართოდა და ა. შ.

საერთოდ, დიდოსტატის წოდებას მხოლოდ ფიდე-ს ტიტულიანი ანიჭებს, მაგრამ პრეზიდენტსაც აქვს უფლება განსაკუთრებულ შემთხვევაში, ასე ვთქვათ, „ათასში ერთი-ლ" საკუთარი დადგენილებითაც გამოაცხადოს ახალი დიდოსტატის „დაბადება". ამ უფლებას პრეზიდენტი ძალიან იშვიათად იყენებს. მაგრამ დამთავრდა თუ არა როზენდალის ტურნირი, პრეზიდენტმა პროფესორმა მაქს ეიგენ ელენე ახმილოვსკაია ახალ დიდოსტატად გამოაცხადა, ეს თბილისის საზონთაშორისო ტურნირის გამარჯვებულთა მიმართ არ გაკეთებულა. ისინი ამ უმაღლეს წოდებას ფიდე-ს მორიგ კონგრესზე მიიღებენ.

ახლა კი მესამე მოულოდნელობაზე ვილაპარაკოთ. აქამდე ახმილოვსკაია წარმატებებს ხსოლოდ ტურნირებში აღწევდა. ეს არა ჰქონდა მატჩების თამაშის გამოც ფილება. ამიტომ ექსპერტებს მიაჩნდათ, რომ მას ძალიან გაუჭირდებ და მრავალნაცად ლემაჩკოსთან. იგი ხომ ადრე საბჭოთა კავშირის თასის მფლობელი იყო, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სულ ცოტა ხნის წინათ მატჩში დაამარცხა. დიდოსტატი ვან დერ მიიც (ნიკოლაუ). ცხობილმა მოსკოველმა მოჭადრაკემ ფატალიბეკოვამ პირდაპირ განაცხადა, ლემაჩკო გაიმარჯვებსო. ამ აზრს, ასე თუ ისე შეცვლილი ფორმით ვრავალი ექსპერტი დაუჭერ.

უნდა ითქვას, რომ მატჩი სოფიაში მეტისმეტად მძაფრად განვითარდა. ჯერ ახმილოვსკაია დაწინაურდა, შემდეგ შეუპოვარმა ლემაჩკომ ანგარიში არა ნარტო გაათანაბრა, არამედ უკანასკნელი, მეათე პარტიის წინ დაწინაურდა კიდეც — 5:4. ახლა მას ნახევარფინალში გასასვლელად ყაიმიც ყოფნიდა: ყოფნიდა, მაგრამ ვერ მიაღწია! ლემაჩკოს შეუპოვრობას ახმილოვსკაიამ კიდევ უფრო მეტი შეუპოვრობა დაუპირისპირა და ანგარიშიც გაათანაბრა — 5:5! დაინიშნა ფამატებითი პარტიები. აქ „აფეთქდა ერთი ნაღმი", რომელსაც ახმილოვსკაია, თურმე ნუ იტყვით, უნახავდა მეტოქეს და ისიც ვინ იცის რამდენ ხანს! ლემაჩკო თეორიებით თამაშობდა. მაგრამ მალე მიხვდა, რომ „ლაბირინს". მოულოდნელი სადებიუტო სიახლის გამოყენებით ახმილოვსკაიამ დიდი უპირატესობა მიიღო და მოიგო მეთერთმეტე პარტია. მეთორმეტე ყაიმით დამთავრდა და პრეტენდენტთა ასპარეზობის ნახევარფინალში სწორედ ახმილოვსკაია გავიდა.

ამრიგად, როგორც თბილისს, ისე სოფიის მატჩებში უფრო ახალ-

გაზრდა მოჭადრაკეებმა გაიმარჯვეს. ალა მაია ჩიბურდანიძე და ელენე ახმილოვსკაია პრეტენდენტთა ნახევარფინალურ მატჩში უნდა შეხვდნენ ერთმანეთს. ათის ნაცვლად 12 პარტია გათამაშდება, თუ შეხვედრა ყაიმით — 6:6 დამთავრდა, დაინიშნება მიკრო-მატჩები (ორ-ორი პარტიისაგან), მანამდე, სანამ რომელიმე მხარე არ გაიმარჯვებს. დებულების თანახმად, ეს შეხვედრა 1 სეკტემბრისათვის უნდა დამთავრდეს. ახმილოვსკაიას წვრთნის ოსტატი ლეპიოშენი, რომელსაც თავის დროზე სერიოზული წარმატებები ჰქონდა და საკავშირო ჩემპიონატის ფინალშიც კი თამაშობდა, ახლა კი ასეთივე წარმატებით ეხმარება კრასნოიარსკელ მოჭადრაკეს.

თუ რითი დამთავრდება ჩიბურდანიძე-ახმილოვსკაიას მატჩი, ახლა რა თქმა უნდა, მომავალი გვიჩვენებს. ახლა კი ორივე პრეტენდენტმა მდელარე სატურნირო დარბაზიდან კაბინეტის სიმყუდროვეში გადაინაცვლა და ამ მეტისმეტად საინტერესო მატჩისათვის მზადებას შეუდგა.

ბ. გამრეკელი.

მიწისძვრა თბილისში

18 ივნისს თბილისში, 18 საათზე, 32 წუთსა და 43 წამზე აღგილობრივი დროით მოხდა მიწისძვრა, რომლის ძალა საშუალოდ 3 ბალი იყო. მიწისძვრას ქალაქის არც ერთი შენობა არ დაუზიანებია.

მიწისქვეშა ბიძგის ეპიცენტრი გადაიოდა გორის სამხრეთით 23 კილომეტრზე აკარა-თრიალეთის ქედის კალთებში, — უთხრეს საქინფორმის კორესპონდენტს კ. ცხომელიძეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორმა, რესპუბლიკის აკადემიის აკადემიკოსმა ბ. ბალავაძემ და რეგიონალური სეისმოლოგიის განყოფილების გამგემ, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ო. გოცაძემ. გორში იგრძნობოდა 4-5 ბალი ძალის მიწისძვრა. აქაც მიწისძვრას არავითარი სერიოზული ზიანი არ მიუყენებია ქალაქის ნაგებობისათვის.

გორი მდებარეობს დედამიწის ქერქის დიდი ნარღვევების ზონაში. დღესაც ამ რაიონში ხდება ბლოკების — დედამიწის ქერქის დიდი სტრუქტურების მოძრაობა. წიაღში მათი მოძრაობის შედეგად თანდათანობით გროვდება დრეკადი ენერგია. დედამიწის ქერქში, როცა ეს ძაბვა კრიტიკულს მიაღწევს, სწორედ მაშინ ხდება თავისებური განმუხტვა — მიწისქვეშა ბიძგები. მომდინარე წლის 8 ივნისს გორის რაიონში აგრეთვე მოხდა ამგვარი მიწისძვრა. ქალაქის ფარგლებში იგრძნობოდა 2-3 ბალი ძალის ძვრა.

(საქინფორმი).

ეკონომიკა

ეკონომიკური შეჯიბრება

კვირას თბილისში „ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართა სსრ კავშირის ჩემპიონატის მეშვიდე ტურის ორი მატჩი რეგბიში. თბილისის „ელამ" უფიერულად ჩაატარა შეხვედრა კიევის „სპარტაკთან". ამასთან მსაჯმა უხერხობისთვის მოედანიდან გააძევა სამი თბილისელი, ამ დროს ანგარიში იყო 16:3 სტუმრების სასარგებლოდ, ხოლო როცა მეოთხემ ტრაკმა მიიღო, თამაში შეწყდა, რადგან დებულების თანახმად თერთმეტ მოთამაშეს აღარ შეეძლია განაგრძოს თამაში.

სამაგიეროდ გულშემატკივრები გაახარეს თბილისის „ლოკომოტივის" რეგბისტებმა, რომლებმაც ანგარიშით 16:0 მოიგეს ლენინგრადის „პრიმორეცს".

ჭადრაკი

პირველი ყაიმი

ბონი, 20 ივნისი. (საკადესი). გაიმართა მესამე პარტიის დაბოლოება მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტთა ლეკვიერნისა და კუშნირის მეოთხედფინალურ მატჩში. იგი ყაიმით დამთავრდა. შეხვედრის ანგარიში გახდა 2,5:0,5 კუშნირის სასარგებლოდ.

სტენდი

ყველა ოქროს მედალი

ინგლისის ქალაქ დორჩესტერში მიმდინარე მესტენდურთა ევროპის ჩემპიონატში საბჭოთა სპორტსმენებმა ყველა ოქროს მედალი მოიპოვეს მრგვალ სტენდზე. ალიკ ალიევმა ორასიდან მხოლოდ ორ სამიზნეს დააცილა და 198 ქულით ჩემპიონის წოდება მოიპოვა. ასევე კვარტლბეკის უმაღლეს საფეხურზე აკიდა ვაჟთა ნაკრებიც ა. ალიევის, ვლადიმერ ანდრეევის, თამაზ ინნაიშვილისა (თბილისის „ლოკომოტივი") და ალექსანდრე ესელევიჩის შემადგენლობით.

თავი ისახელეს ჩვენმა ქალებმაც. ოქროს მედალი მოიპოვა მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონმა ლარისა გურვიჩმა (144 ქულა), შემდეგ კი თანაგუნდელებთან — პოლინა კონევასთან და ვალენტინა ტკაჩოვასთან ერთად გუნდური გამარჯვებაც იზეიმა.

ახლა სატრანზეო სტენდზე მსროლელები განაგრძობენ ასპარეზობას.

მოკლედ

უმაღლესი პილოტაჟი. საბჭოთა მფრინავებმა გაიმარჯვეს ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებაში, რომელიც კიევში გაიმართა. მრავალჭიდში ამსოლუტური პირველობაც საბჭოთა სპორტსმენებმა მოიპოვეს — იგორ ეგოროვმა და ლიდია ლეონოვამ. კიევის ცაში საპაერო აკრობატიკაში მონაწილეობდნენ უნგრეთის, გდრ-ის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, სსრ კავშირის საუკეთესო მფრინავი-სპორტსმენები. ტურნირი რეპერტიციი იყო ეგორეთის ჩემპიონატის წინ, რომელიც იელსინში გაიმართება საფრანგეთში.

კალათბურთი. საკონტინენტთაშორისო თასის ორგზის მფლობელმა საბჭოთა გუნდმა ოკანესგალმა გამოსვლების ბოლო მატჩის დაძაბული ბრძოლა დამატებითს დროში წაადო ნიუ-იორკში ამერიკის გუნდთან 144:149. კანადელებმა დაამარცხეს ბელგიელები — 80:65.

მძლეოსნობა. დიდი საერთაშორისო ასპარეზობა გაიმართა დასავლეთ გერმანიის ქალაქ მიუნხენში. კარგად გამოვიდნენ მტყორცნელები. ოლიმპიურმა ჩემპიონმა უნგრელმა მიკლოშ ნემეტმა შუბი ტოოოკანა 92 მეტრზე, რაც საუკეთესო შედეგია სეზონში. მსოფლიოს რეკორდსმენმა ჰელენა ფიბინგეროვამ (ჩეხოსლოვაკია) ბირთვი კრა 21 მ. და 91 სმ-ზე, რაც მხოლოდ 8 სანტიმეტრით ნაკლებია მისსავე უმაღლეს მიღწევაზე.

მშვილდოსნობა. დუშანბელმა ზებინისო რუსტამოვამ კვლავ ისახელა თავი — მსოფლიოს ჩემპიონის წოდებას რეკორდიც დაუმატა. კვირას ტალინში გამართულ ასპარეზობაში 60 მეტრზე ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 332 ქულა.

ფეხბურთი. ბრაზილიის ნაკრებმა, რომელიც მსოფლიო პირველობის შესარჩევი დასკვნითი ტურნირისათვის ემზადება, ამსახნაგური მატჩი მოუგო სამხრეთ ამერიკაში მყოფ პოლონეთის გუნდს — 3:1. მასპინძელთაგან ბურთები გაიტანეს პაულო ისიდორომ, რეინალდომ და რიველინომ. ერთადერთი საპასუხო ბურთი შეხვედრის უკანასკნელ წამებზე გაქვითა ბონეკამ.

რედაქტორი
დ. მჟელიშვილი.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, საქართველოს სსრ მედიცინის მუშაკთა პროფკავშირი, ი. გ. კონიაშვილის სახელობის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, საქართველოს პედიატრთა სამეცნიერო საზოგადოება, საქართველოს კურორტოლოგთა და ფიზიოთერაპევტთა სამეცნიერო საზოგადოება იუწყებიან, რომ 61 წლისა გარდაიცვალა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტოლოგიის და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პედიატრიული განყოფილების ხელმძღვანელი, სამამული ომის ვეტერანი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

ირაკლი ილიას ძე ჩოგოვაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიის განყოფილება, ბოტანიკის ინსტიტუტი, საქართველოს ბოტანიკოთა საზოგადოება, საბჭოთა კავშირის ბოტანიკოთა საზოგადოება, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი და ბოტანიკის კათედრა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ბოტანიკის ინსტიტუტის მცენარეთა სისტემატიკისა და გეოგრაფიის განყოფილების გამგე, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი

ანა ლუკას ასული ხარაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიის განყოფილება, ბოტანიკის ინსტიტუტი, საქართველოს ბოტანიკოთა საზოგადოება, საბჭოთა კავშირის ბოტანიკოთა საზოგადოება, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი და ბოტანიკის კათედრა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ბოტანიკის ინსტიტუტის მცენარეთა სისტემატიკისა და გეოგრაფიის განყოფილების გამგე, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი

ანა ლუკას ასული ხარაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ქომუნისტი | **ჩვენი მისამართი და ტელეფონები**

580096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეებს—99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443

უე-02195

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380028 თბილისი-8, ლენინის ქ. 14